

ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაერთიანებულია საკრებულოს 16 დეპუტატი. არჩევიდან დღემდე კომისიაზე განსახილველად შემოვიდა ბიუჯეტში სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებთან დაკავშირებული 8 საკითხი. ყველა საკითხზე კომისიამ გამოხატა თავისი პოზიცია და საკითხები განხილულ იქნა საკრებულოს სხდომაზე.

როგორც საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, სისტემატური ურთიერთობა მქონდა ქალაქის ამომრჩევლებთან. პირველ რიგში მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნა სოციალური გაჭირვებიდან გამომდინარე სხვადასხვა პროგრამით დახმარების აუცილებლობაა. განვიღო პერიოდში დახმარებისათვის მოგვმართა 350 მოქალაქემ, აქედან მერიამ შეძლო 292 მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილება.

ჩემი პირადი ინიციატივით 2017 წელს ინფრასტრუქტურის განსახორციელებელ პროექტებში შეტანილ იქნა ქალაქის რობაქიძის უბნის გზის ასფალტი-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ტენდერში უკვე გამოვლენილია გამარჯვებული და გზის მშენებლობა მაისის ბოლოს დაიწყება. ჩემი დაპირებები მოსახლეობისადმი საარჩევნო პერიოდის დროს თანდათანობით, გეგმაზომიერად სრულდება. 2017 წლის ნოემბერში დაიწყო ე.წ ყირამალას უბნის 17 ოჯახის წყლით მომარაგების პრობლემის გადაწყვეტა. სამუშაოები ადგილობრივი ძალებით და ფინანსებით შესრულდა, მოსახლეობამ დეკემბრის თვეში მიიღო სასმელი წყალი. ჩემი აქტიური ძალისხმევით საქართველოს წყალგაერთიანების კომპანიამ მოსახლეობას უფასოდ დაუმონტაჟა წყლის მრიცხველები და პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა.

პარალელურად იგეგმება ყირამალას უბანში დარჩენილი 5 ოჯახის წყლით მომარაგების საკითხის მოგვარება, ამისათვის ყველა საჭირო მასალები შეძენილია და უმოკლეს პერიოდში დარჩენილი მოსახლეობაც მიიღებს სასმელ წყალს.

ჩემი ინიციატივით, 2017 წელს თერჯოლისა და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ ე.გოცირიძის თანადგომით დაიწყო გოფანშთის ეკლესიის რეაბილიტაცია, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება. იგეგმება თერჯოლა-ახალთერჯოლის გზის (გოფანშთის ეკლესიის გავლით) პროექტი, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნება 2019 წლის გეგმით.

მზადდება წინადადება ქალაქის კანალიზაციის ქსელის მოსაწესრიგებლად.

კომისიის თავმჯდომარე:



/თ. ქოჩიაშვილი/

16.05.2018წ.